



## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №27

2012 წლის 9 მარტი

ქ. ქობულეთი

**შ.პ.ს. „საქართველო“ სასტუმრო „ჯორჯია პალასი“-სათვის  
მაღალი ძაბვის კაბელის (ხაზობრივი ნაგებობის) მიწისქვეშა  
მონტაჟისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე  
თანხმობის მიცემის შესახებ**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ შ.პ.ს. „საქართველო“ სასტუმრო „ჯორჯია პალასი“ აწარმოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის კაბელის (ხაზობრივი ნაგებობის) მიწისქვეშა მონტაჟს, დავით აღმაშენებლის გამზირის ვერულიძის ქუჩების გადაკვეთიდან რუსთაველის ქუჩის, ვერულიძის ქუჩის გადაკვეთამდე და რუსთაველის ქუჩის გასწვრივ რუსთაველის ქუჩის №170-მდე.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. „საქართველო“ სასტუმრო „ჯორჯია პალასს“ ქ.ქობულეთის ტერიტორიაზე აწარმოოს მაღალი ძაბვის კაბელის (ხაზობრივი ნაგებობის) მიწისქვეშა მონტაჟი დავით აღმაშენებლის გამზირის ვერულიძის ქუჩების გადაკვეთიდან რუსთაველის ქუჩის ვერულიძის ქუჩის გადაკვეთამდე და რუსთაველის ქუჩის გასწვრივ რუსთაველის ქუჩის №170-მდე.

2. შ.პ.ს. „საქართველო“ სასტუმრო „ჯორჯია პალას“ -მა ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის კაბელის (ხაზობრივი ნაგებობის) მიწისქვეშა მონტაჟისათვის საჭირო ნებართვის მისაღებად დაკავშირებული პროცედურები აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. გაფრთხილდეს შ.პ.ს. „საქართველო“ სასტუმრო „ჯორჯია პალასი“ მასზე, რომ სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკაბელო ტრასის ადგილმონაცვლეობა.

4. შ.პ.ს. „საქართველო“ სასტუმრო „ჯორჯია პალას“ -მა უზრუნველყოს მაღალი ძაბვის კაბელის მონტაჟისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან. (შ.პ.ს. „ფოპნეტი“, შ.პ.ს. „ა-ნეტ ANET“, ს.ს. „ენერგო-პროჯორჯია“, ს.ს. „სილქნეტი“, შ.პ.ს. „ქობულეთის წყალკანალი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტემენტი).

5. შ.პ.ს. „საქართველო“ სასტუმრო „ჯორჯია პალას“ -მა უზრუნველყოს გათხრილი ასფალტის საფარის აღდგენა სამონტაჟო სამუშაოების დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში.

6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი);

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

8. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე